სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030655172836820

24 / იანვარი / 2020 წ. **თბილისი #06-9/ო**

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" და „ს" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) შეიქმნას სპეციალური კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
ა) ამირან გამყრელიძე - ცენტრის გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) პაატა იმნაძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) ირმა ხონელიძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, წევრი;
დ) ალექსანდრე ტურძილაძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, წევრი;
ე) ტარიელ ჭანტურიძე - ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, წევრი;
ვ)კონსტანტინე ოჩიგავა - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
ზ) მაია ალხაზაშვილი - ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მენეჯერი, წევრი;
თ) ხათუნა ზახაშვილი - გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
ი) ლელა სტურუა - არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
კ) გვანცა ჭანტურია - ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის და გენომის შემსწავლელი დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
ლ) შოთა ცანავა - ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
მ) მაია კერესელიძე -სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
ნ)ოთარ ნამიჭეიშვილი - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
ო) ვლადიმერ გეთია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
პ) ლალი ებანოიძე - იურიდიული სამმართველოს უფროსი, წევრი;
ჟ) გია ქობალია - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, წევრი;
რ)გიორგი ჩახუნაშვილი - ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი, წევრი;
ს) ანა კასრაძე - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს უფროსი, კომისიის მდივანი;
ტ) ანა მაჩაბლიშვილი - გრიპის და რესპირატორული ვირუსების ლაბორატორიის უფროსი, წევრი;
უ) ანა ტატულაშვილი - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, წევრი;
ფ) ირმა ბურჯანაძე - ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, წევრი;
ქ) ლევან ბაკურაძე - ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს სპეციალისტი, წევრი;
ღ)ნინო მამუკაშვილი - საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, წევრი.
2. შემთხვევათა გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავებისა და განსაზღვრის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა და სიტუაციის მართვის მიზნით შეიქმნას სწრაფი რეაგირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) კონსტანტინე გვეტაძე -საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ბ) ეკატერინე ჟორჟოლიანი - -საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ა)გიორგი ჩახუნაშვილი -ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი;
ბ)ირმა ბურჯანაძე -ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
გ)ლევან ბაკურაძე- ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს სპეციალისტი;
დ) ეკატერინე ჯაბიძე - ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს სპეციალისტი;
ე) ნანა მამუჩიშვილი -ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
ვ)მარიამ ბროლაძე - ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს სპეციალისტი;
ზ)ქეთევან ქავთარაძე - ალიმენტური, ნოზოკომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს სპეციალისტი;
თ) ირაკლი ქარსელაძე - მართვადი და რესპირატორული დაავადებების სამმართველოს სპეციალისტი;
ი) ლია სანოძე -შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;
კ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოების/განყოფილებების ხელმძღვანელები (პირადად);
ლ) მაკა წილოსანი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს სპეციალისტი;
მ) მაყვალა გაბუნია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის ფოთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
ნ)ნონა მახარაძე - კვაჭანტირაძე- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის გურიის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
ო)ნანა ოდიშარია - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამეგრელო - ზემო სვანეთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
პ)ნატო დვალი -საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის რაჭა -ლეჩხუმი ქვემო სვანეთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
ჟ) გვანცა ყველაშვილი- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის შიდა ქართლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
რ) ნატო კრაწაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის კახეთის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

3. დაევალოთ:

3.1.გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს (ხ. ზახაშვილი) ამ ბრძანების მე -2 პუნქტით განსაზღვრული სწრაფი რეაგირების ჯგუფის მეშვეობით უზრუნველყოს:
ა) შემთხვევათა კვლევა და კლასიფიკაცია, ლაბორატორიული სინჯების აღების/ტრანსპორტირების ორგანიზება, კონტაქტების გამოვლენა და მათი კლასიფიკაცია დაბალი და მაღალი რისკის კონტაქტებად, კონტაქტებზე მეთვალყურეობის დაწესება და განხორციელების მონიტორინგი; შემთხვევებსა და კონტაქტის ზედამხედველობაზე მოხსნის შესახებ დასკვნის დაწერა, მაღა;ლი რისკის კონტაქტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება დღეში ორჯერ, სპეციალური კითხვარის მეშვეობით პირისპირ ინტერვიუირების გზით; დაბალი რისკის კონტაქტების - დღეში ერთჯერ სატელეფონო ან პირისპირ ინტერვიუირების გზით; კონტაქტების ინფორმირება რისკების, დაავადებების სიმპტომების, პირველადი მიმართვის დაწესებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკონტაქტო ინფორმაციების მიწოდება.
ბ) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ექიმები, ეპიდემიოლოგები და სხვა მიზნობრივი ჯგუფები საჭირო ინფორმაციითა და ტრენინგებით;
გ) სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც განთავსდებიან ახალ კორონავირუსზე სავარაუდო პაციენტები, ინფექციური კონტროლის ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების მხარდაჭერა;

3.2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს (ა.კასრაძე) უზრუნველყოს:
ა) ახალი კორონავირუსის შესახებ შიდა მოხმარებისა და გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საერთაშორისო ინფორმაციების მოძიება და მიწოდება ყველა შესაბამისი ჯგუფისა და უწყებისთვის;
ბ) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების მოთხოვნების შესრულება, სხვა უწყებების საკონტაქტო ინფორმაციის ფლობა და ურთიერთგაცვლა ან ჩართულობა;
გ) სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებსა და აეროპორტებში ახალი კორონავირუსის გადაცემის არეებიდან შემოსული ან/და გასამგზავრებელი მგზავრების, ეკიპაჟის წევრებისა და მომსახურე პერსონალის უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით (ფლაერები, ბანერები დასხვა შესაბამისი მასალები);
დ) ეპიდსიტუაციის ყოველდღიური ანალიზი.

3.3. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრს (მ. ალხაზაშვილი)
ა) მიაწოდოს სწრაფი რეაგირების ჯგუფს ნიმუშის აღების/შენახვისა და ტრანსპორტირების პროტოკოლი ბიოუსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;
ბ) საჭიროების შემთხვევაში გამოყოს ლაბორატორიის პერსონალი სწრაფი რეაგირების ჯგუფის დასახმარებლად;
გ) შეიმუშაოს პათოგენის ლაბორატორიაში ტესტირების პროტოკოლი ბიოუსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;
დ) უზრუნველყოს საეჭვო/დადებითი ნიმუშების გადაგზავნა ჯანმო-ს რეფერალურ ლაბორატორიაში კონფირმაციისა და დამატებითი კვლევებისათვის.

3.4. ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა) უზრუნველყოს:
ა) ცენტრის ცხელი ხაზის გამართული მუშაობა და მათ შორის მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში, არასამუშაო საათებში სატელეფონო ზარების შეუფერხებლად მიღების მიზნით.
ბ) ცენტრში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სრული ტენიკური მზადყოფნა სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად 24 საათის განმავლობაში.

3.5. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს (ნ. მამუკაშვილი) და

არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს (ლ.კვაჭანტირაძე) მედია მონიტორინგი და მუდმივი ინფორმირება, ახალი კორონავირუსის შესახებ მიღებული და მოპოვებული ინფორმაციის ცენტრის ვებ. გვერდზე განთავსება და მუდმივი განახლება,

3.6. საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (ო.ნამიჭეიშვილი) უზრუნველყოს სრული ფინანსური მხარდაჭერა დაუყოვნებელი რეაგირების მიზნით.

4. დაევალოთ, ამ ბრძანების მე - 3 პუნქტით განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, ინფორმაცია მუდმივ რეჟიმში მიაწოდონ კომისიას.

5. კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ, ცენტრის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით (კომისიის თავმჯდომარე).

6. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ. გვერდზე – www.ncdc.ge.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე